# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 258. კვირა, 3 ოქტომბერი 1904 წ. გაზეთის № 2628.





**გენერალი სტესელი,**

პორტ-არტურის დამცველი. ციხის სიმაგრეებზე.



გენერალი კონდრატენკო,
პორტ-არტურის დამცველი.

# პეპელა

ანდრე ტერიესი.

ყოველ წლის ბოლოს,—დაიწყო თავისი მოთხრობა ჩემმა მეგობარმა ჟაკობიუსმა:—ვცდილობ მივალაგო ჩემი მარტოხელი ოთახი და სამეცადინო მაგიდაზე ქაღალდები თავის ადგილზე დავაწყო. დღესაც ამ ჩვეულების შესრულებას შევუდექი და, აი, სწორედ ამ დროს დამტვერილ ქაღალდებსა და წერილებს შორის ერთ უჯრის სიღრმეში წავაწყდი მაგრა თავდახურულ კოლოფს, რომლის ძირზედაც ქინძისთავით მიკრულ პროპკაზედ იჯდა ერთნაირი ღამის პეპელა. ფრთები დაგლეჯოდა, სამკუთხოვანი თავი მოკლებული იყო პაწაწინა ულვაშებს და ქიებს შესამჩნევად გამოეჭამათ მუცელი. მიუხედავად ამისა მთელ იმის სხეულს ოდნავაც არ შეჰქროლოდა ფერი და სავსებით შერჩენოდა რაღაც თავისებური ფერწასული შეხედულება. ცოცხლად იყო შეერთებული ვარდისფერი, შავი, მოქუფრო და მოლურჯო ფერები. ამ პეპელის დანახვაზე კვლავ ვიგრძენ სინდისის ქეჯნა, რომელიც მეგონა სამუდამოდ დავივიწყე. მრავალ-ფეროვანმა პეპელამ გააღვიძა ჩემში დიდი ხნის მწარე მოგონება, რომლის მიზეზიც თვით იყო.

ოცდა ხუთის წლისა ვიქნებოდი, როდესაც შემთხვევით ერთ მივარდნილ პატარა ქალაქში მოვყევი. საშინლად მოწყენილი ვიყავ იქ, რადგან ვერც გონება და ვერც გრძნობა ვერ პოულობდა კმაყოფილებას, რაიცა აუცილებლად საჭირო იყო ჩემებრ უცოლო ყმაწვილისათვის. ცოტ-ცოტა მაინც გამომაჩნდა ნაცნობები და მალე ერთ პატიოსან მეზობლის ბურჟუაზიულ ოჯახს საკმაოდ დავუახლოვდი. ამ ოჯახს ეჭირა ვრცელი სახლი, რომელსაც ირგვლივ მდინარის ნაპირისაკენ ალმაცერად დაქანებული ხეხილით და ყვავილებით სავსე ბაღი ერტყა.

ეს ოჯახი ძალიან მყუდროდ სცხოვრობდა: ცოლ-ქმარი ერთმანეთისთვის არას იშურებდა და გარეგანის შეხედულებით მაინც ბედნიერნი იყვნენ, თუმცა ხნოვანებით შესამჩნევად განსხვავდებოდნენ. მხოლოდ დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა მათ შორის სხვადასხვაობას, ზოგიერთ განსხვავებას ხასიათსა და აღზრდაში.

ევარისტიე სავინიე—ასე ეძახდნენ სახლისს უფროს—ორმოცდაათის წლისა იქნებოდა. სავინიე წყნარისა და კარგის ხასიათის კაცი იყო იმ შემთხვევაში, თუ არ შეურყევდით ერთნაირ სწორ ცხოვრებას და პატივს სცემდით იმის ზოგიერთ საკვირველ თვისებას. ამასთან იგი ცოტათი მოუხეშავი და გარეგნულ მიმზიდველობას მოკლებულიც იყო. მთელი თავისი გონებრივი ძალა სავინიემ შესწირა ენტომოლოგიას და მუდამ პეპელებს უყრიდა თავს. ყოველთვის კლასიფიკაციაში ვარჯიშობამ იგი გადააქცია ერთნაირ წესის უკიდურეს მიმდევარად, თითქმის პედანტად, რაც ძალზე აჯავრებდა მადამ სავინიეს.

დიასახლისას ოჯახის საქმე საგანგებოდ ჰქონდა მოწყობილი. სტუმარი იშვიათად აწუხებდა და ამისათვის თავისუფალ დროთი ხშირად სარგებლობდა. ამ თავისუფალ დროს ანდომებდა ხელ-საქმეს და ადგილობრივ წიგნსაცავიდან გამოტანილ რომანების კითხვას. ხან და ხან ბაღში, ხეივნებს შორის სეირნობის დროს, ეძლეოდა წარმტაც ოცნებას და ეწაფებოდა მთელის არსებით იმის სიტკბოებას.

მე თანდათან მოუხშირე ამ ოჯახში სიარულს. ბავშობისას საშინლად მიყვარდა პეპლების ჭერა და ეხლაც ძალიან დამაინტერესა ევარისტიე სავინიეს კოლლექციებმა, რითაც დავიმსახურე იმისი გულითადი განწყობილება. სავინიეს ლაპარაკი უყვარდა და ამ სურვილის მოსაკლავად ხშირად მარტოს მიმიწვევდა ხოლმე სადილათ და, უნდა მოგახსენოთ, ყოველთვის საუცხოვო მასპინძელი იყო. ქალბატონმა სავინიემ ერთხანს, ცოტა არ იყოს, იუცხოვა ასეთი ხშირი სტუმრობა: ჩემი ერიდებოდა და თავისუფლად ვერა ჰგრძნობდა თავს, მაგრამ მალე შემეჩვია და შემდეგ ჩემი დანახვა სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა. ბოლოს სახის გამომეტყველებასა და საზოგადო მიმოხვრაზე შევატყვე რამდენად გასახარი იყო ჩემი იქ ყოფნა. საკვირველი არაფერია: მე შემქონდა იმის ერთფეროვან ცხოვრება'ში სიჭაბუკე და მოულოდნელი გრძნობათა ღელვა. მე დავაახლოვე იგი და გარემო ბუნება ერთმანეთს და განვაახლე მოდუნებული ჰაერი. მალე ისიც შევნიშნე, რომ მე მოუთმენლად მელოდდა და თავის ტუალეტს მეტ ყურადღებას აქცევდა. ასეთი აღმოჩენა სიამოვნებით ანებივრებდა ჩემ თავმოყვარეობას და მეც, ჩემის მხრივ, მეტის ყურადღებით ვეპყრობოდი. სულ მალე ჩვენ შორის გაჩნდა მეგობრული განწყობილება და მე გამოურკვევლად, ჩემდა გაუგებრად, ვცდილობდი, მარტონი დავრჩენილიყავით სალაპარაკოდ.

ასეთ შემთხვევაში გულახდილიად ვიწყებდით მეგობრულ მუსაიფს. მე არა ვგრძნობდი ამ ქალისადმი არავათარ სიყვარულს და სიცილად არ მეყოფოდა, ვინმეს რომ ეთქვა, იძას ეტრფიო, მაგრამ,—როგორცა გნებავთ, ახსენით ამგვარი მოვლენა—რამდენადაც ხშირად ვნახულობდი, იმდენად უფრო და უფრო მომწონდა, ჩემ წინ ჰქრებოდა იმისი ნაკლულევანებანი და ბოლოს მომხიბვლელად მეჩვენებოდა.

დიასახლისი თანდათან გათამამდა და ბოლოს პროვინციალური მორცხვობა აღარც კი ეტყობოდა. გატაცებით ლაპარაკობდა ჩემთან, თავისუფლად დამეყრდნობოდა ხოლმე მხრებზე და არა სწყინდა, როდესაც ხელზე ხელს უჭერდი.

ივლისის ერთ მშვენიერ საღამოს მე და ის ვიჯექით სასტუმრო ოთახში, სადაც ყავა მოგვიტანეს. ამ ოთახის ფანჯარასთან ტერასსა იყო და აქედან მთელი ბაღი ხელის გულივით მოსჩანდა. ჯერ კიდევ არ დაბნელებულიყო, მაგრამ სავინიემ სანთელი აანთო. იმის სიტყვით, სანთელი საუკეთესო საშუალებაა ღამის პეპლების მოსატყუებლად. ქ-ნი ბერტა ჩემ გვერდით დაჯდა და დაეყრდნო სავარძლის ხელს, რომელზედაც მე ვიჯექი. ჩვენი მხრები ერთმანეთს ეკარებო-

დნენ; ზაფხულის სიო, იასამანისა და სუმბულის სურნელება, განუსაზღვრელ სიამოვნებას გვრიდა და სიტკბოების ნექტა-რით გვავსებდა. სავინიე ჩვენს უკან იდგა და ყურადღებით უცქეროდა ბუჩქებს, რომლის აყვავებულ ტოტებს შორის ფრთხიალებდნენ ღამის პეპლები.

ჩვენ ვსდუმდით. საღამოს სიჩუმეში ცხადად მოგვესმა სუსტი ზუზუნი და ერთ წუთში ჩვენს თავს ოდნავ შეეხო ბანძგვლიანი ფრთები. ჩვენს ახლო დავინახეთ პეპელა, რო-მელმაც მალე ისევ ბაღს მიაშურა.

— ოჰ, რა საუცხოვო პეპელაა!—წამოიძახა სავინიემ:— დაიცათ, ეხლავე დავიჭერ და თავის ადგილას ჩავსვამ...

საჩქაროდ წაავლო ხელი ბადეს და გასწია ბაღისკენ. კარგა ხანს ისმოდა ქვიშით მოფენილ ბაღის ბილიკებზე ფე-ხის ხან აჩქარებული და ხან წყნარი ხმა, მაგრამ ბოლოს შე-წყდა ბაღის სივრცეში.

— ის დიდხანს არ დაბრუნდება!—რაღაც ირონიული კილოთი წაილაპარაკა ბერტამ:—როდესაც პეპლებში ერთო-ბა, ავიწყდება ყოველივე ქვეყნიური, სახლში დაბრუნებაც კი...

იმან ფანჯრიდან შუაგულ ოთახისაკენ გაიწია. სიტყვის ამოუღებლად მოვკიდე ხელი.—უეცრად იმისი თავი ჩემ მხარ-ზედ დაეცა. თავდაუჭერელმა სურვილმა ამიტაცა. აცახცახე-ბული მაგრად მივიკარ გულზე და სწრაფად გავაქანე ოთახის კუთხისკენ, სადაც დივანზე კოცნა დავუწყე. წინააღმდეგო-ბას არ მიწევდა. არ ვიცი, რამდენხანს გაგრძელდა ეს, სწო-რედ არ ვიცი, მხოლოდ ჩვენ გამოგვაფხიზლა ვიღაცას შეწუ-ხებულმა ხმამ, რომელიც მოგვესმა სარკმლის იქიდან. ელვის უმალ ორივენი ფეხზე ვიდექით და ორივეს ერთ დროს მო-გვესმა ფრთების თრთოლა. სიბნელეში დავუწყეთ ძებნა და დავინახეთ მაგიდაზე კოლოფი; კოლოფის ძირზე ქინძისთავით პროპკა იყო მიბნეული და ამაზე მჯდომი პეპელა სასიკვდი-ლოდ ფრთხიალებდა.

ამის დანახვამ შიშის ზარი დაგვცა ორივეს, საშინელმა ფიქრებმა შეგვიპყრო და ერთმანეთისათვის გაზიარებას ვერ ვუ-ბედავდით. კარგად გვესმოდა, რაც მოხ-და. პეპელის დაჭე-რისთანავე სავინიე უკან დაბრუნდა და სიამაყით მოჰქონდა თავისი ნანადირევი. მოვიდა რა ფანჯა-რასთან, დაინახა ჩვე-ნი საძაგელი ღალა-ტი. ასეთის სურათის დანახვამ თავს მეხი დასცა, გამოუთქმე-ლად გული მოუშხა-მა. იქ გაჩერება ვე-ღარ შესძლო, გულ-ამოსკვნით ამოიოხრა და სადღაც გაიქცა. ამ ამოოხვრამ გაგვა-ღვიძა.



კრეისერის „რიურიკ“-ის ჰალუბა ბრძოლის დროს.

ჩვენ ადგილიდან არ ვიძროდით. ასე-თის საზიზღარ დანა-შაულის ჩადენამ ერ-თობ გაგვაშეშა, სირცხვილმა და ში-შმა შეგვბოჭა. უეცრად შორს ბაღში მოისმა წყალის შხა-პუნი.

— ოჰ! ამოიკვნესა ქალმა:—მდინარეში გადავარდა...

მართალი გახლდათ... გაფითრებულნი მდინარის ნაპირს მივარდით და ვერავინ ვერა ვნახეთ. მალე ახლად ამოსულმა მთვარის შუქმა დაგვანახვა მდინარის მაღალ კიდეზე ჩვენის მსხვერპლის გულ-მოდგინეთ დაწყობილი ტანისამოსი.

მეორე დღეს სავინიეს ცხედარი მდინარიდან ამოიღეს. იმის სიკვდილის მიზეზი საზოგადოებისთვის გაუგებარი დარ-ჩა. ბევრი შებრალებით ამბობდა, პეპლების ჭერის დროს უცაბედად მდინარეში გადავარდაო.

დასაფლავების შემდეგ ორმა დღემ განვლო და ქ-ნ სა-ვინიესაგან მივიღე დაბექდილი ბარათი. გავხსენი-კოლოფში პეპელა იჯდა და ნაგლეჯი ქაღალდი იდო, რომელზედაც ეწე-რა: „ჩვენ ამიერიდან ერთმანეთს ველარ ვნახავთ. მშვიდობით!“

აი მიზეზი,—დაამთავრა ჩემმა მეგობარმა ჟაკობიუსმა:— რომ ამ კოლოფის ძირზე ნაპოვნმა პეპელამ ოცდა თხუთმე-ტის წლის შემდეგაც-კი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემ-ზედ, გააღვიძა ჩემში სინდისის ქენჯნა, რომელიც თავის დღეში არ მომასვენებს.

ტეხურის-პირელი.

## სხვა და სხვა ამბები

**ახალი ჩვეულება სადილის დროს.** ინგლისის უმაღლეს საზოგადოებაში ახალი ჩვეულება შემოუღიათ. სადილის დროს, ყო-ველ ახალ კერძის შემოტანის შემდეგ, მანდილოსანი კავალერს იცვ-ლის, ე. ი. კავალერი სხვა ადგილას გადადის. გადასვლა არც-კია საჭირო: სკამები ისეა მოწყობილი, რომ კერძის გათავების შემ-დეგ, დიასახლისი თითს აჭერს განსაკუთრებულად მოწყობილ ზარს და სკამები კავალრიანი ერთი მანდილოსნიდან მეორესთან მიდიან. ინგლისელების აზრით, ასე უფრო მხიარულად შეიძლება დროს გატარება.

*
* *

**მჭირფასი საათი.** ამას წინად ერთ პარიზელ ოქრომჭედლი-სთვის მილიონერს, რა თქმა უნდა, ამერიკელს, შეუკვეთნია საათი... 10,000 მანეთიანი. საათი ოქროსია და გარედან აჭრელებულია პატარ-პატარა ბრილიანტებით და სხვა ძვირფასს ქვებით. ამის გამო ეხლა „მემატიანენი“ იგონებენ, რომ ამ რამდენისამე წლის წინად

ერთ სამხრეთ-აფრიკელ კრეზს უფრო ძვირფასი სათითე გაუკეთებინება. ეს სათითე ღირებულა 30 ათასს მანეთად. მაგრამ ყველაზე ძვირფასი სათითე მაინც სიამის დედოფალს ჰქონია. ამ სათითეს 150 ათას მანეთად აფასებენ.

* * *

**საბერძნეთის პოლიცია.** ამას წინად საბერძნეთში 17 პოლიციელი სამართალში მიუციათ. თურმე ეს პოლიციელნი სისტემატიურად სძარცვავდნენ და ჰქურდავდნენ იმ უბნებს, სადაც „წეს-რიგი უნდა დაეცვათ და მშვიდობიანობა დაემყარებინათ“. გამოძიების დროს გამორკვეულა, რომ პოლიციელთა მიერ ძარცვა-გლეჯა და ქურდობა-ავაზაკობა ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა საბერძნეთში. ბევრგან თურმე პოლიციელნი „წრეებსა“ და „ამხანაგობებს“ ადგენდნენ სათარეშოდ და საძარცვავად.

* * *

**მესაფლავეების საერთაშორისო კონგრესი.** საერთაშორისო კონგრესები ისე გახშირდა და გამრავლდა, რომ მესაფლავეებსაცკი განუზრახავთ ასეთ კონგრესის გამართვა. ამ აზრის განხორციელება განუზრახავთ ჩრდილოეთ ინგლისის მესაფლავეებს. კონგრესი მოხდება მანჩესტერში. კონგრესმა უნდა მოილაპარაკოს იმ საკითხების შესახებ, რომელიც მესაფლავეთა პროფესიას ეხება. სხვათა შორის კონგრესმა უნდა შემოიღოს ისეთი ჰიგიენური ზომები დასაფლავების დროს, რომლის მეოხებითაც დაცულ იქნება სიცოცხლე და ჯანმრთელობა მესაფლავეებისა. კონგრესის დროს ფიქრობენ გამოფენის გამართვასაც. გამოფენილი იქნება კუბოები, კათაფალკები, მოდელები გაუმჯობესებულ საფლავებისა, სადეზინფექციო მოწყობილებანი და სხვა. კონგრესზე, რასაკვირველია, წაიკითხავენ სხვა და სხვა მოხსენებას. სხვათა შორის ეხლავე მოხსენებას ამზადებს თურმე მდიდარი მესაფლავე-მოიჯარადრე რეიტერი. რეიტერის აზრით, სრულიად უნდა მოისპოს დასაფლავების დროს სასაფლაოზე სიტყვების წარმოთქმა. ეს წესი განსაკუთრებით ჩვენში იქნებოდა კარგი, რადგან ვინც გინდა და არ გინდა წამოხტება და ულაზათო ლექსს კითხულობს.

* * *

**მონოგრაფია ჩინურ ნაწნავის შესახებ.** ჩინეთში თან და თან ჰქრება ნაწნავის ხმარება. როგორც ვიცით, ჩინელები თავს იპარსავენ და მხოლოდ ერთ ადგილას, კეფაზე, სტოვებენ გძელ ნაწნავს. დღეს ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ჰყავს მომხრე ამ ნაწნავს. სხვათა შორის ვაშინგტონში მყოფე ჩინეთის ელჩი ჩენ-ტუნგ ლიენ-ჩენგი ამზადებს უზარმაზარ ისტორიულ მონოგრაფიას ნაწნავის შესახებ. მონოგრაფია რამდენიმე ტომად გამოვა და საგანი ყოველ მხრივ იქნება განხილული...

**ტფილისის ქალაქის თავის არჩევნების გამო**




მოქალაქე.—ჩემმა მზემ, სასწორი არა ტყუის...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი